სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის დისტანციური სხდომის

ოქმი № 3

12 ოქტომბერი, 2021 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. მაია არჩუაძე (*თავმჯდომარე*);
2. ანა თოხაძე (*მდივანი*);
3. მირანდა მიქაძე;
4. სალომე ჩიტიშვილი;
5. ირაკლი ლეონიძე.

დღის წესრიგი:

1. თსუ აკადემიური საბჭოს არჩევნების მიმდინარეობის პროცესში ტექნიკური ხარვეზის დაფიქსირებისა და აღმოფხვრის თაობაზე.
2. თსუ აკადემიური საბჭოს საარჩევნო კომისიის სხდომის, სამუშაო შეხვედრების ოქმების გამოქვეყნების თაობაზე.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

<u>1. თსუ აკადემიური საბჭოს არჩევნების მიმდინარეობის პროცესში ტექნიკური ხარვეზის დაფიქსირებისა და აღმოფხვრის თაობაზე.</u>

თსუ აკადემიური საბჭოს არჩევნების მიმდინარეობის პროცესში დაფიქსირდა ტექნიკური ხასიათის ხარვეზი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის თხუთმეტ ამომრჩეველთან, რაც გამოიხატა ვალიდაციის კოდის მიუღებლობაში. აღნიშნულის მიზეზი გახდა ის, რომ ამომრჩევლის ბაზაში მობილური ნომრის ბოლოს "ჩარჩა" ე. წ. „ჰარი" (Space). საარჩევნო პროცესის დასრულებამდე ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და მისი მიზეზი დროულად იქნა აღმოჩენილი, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, საარჩევნო პროცესის დასრულებამდე შეუძლებელი იყო ამომრჩეველთა გარდა სხვა პირებისათვის, მათ შორის ადმინისტრირების ნაწილშიც, სერვეზე შესვლა, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების შესაძლებელი გახდა მხოლოდ საარჩევნო პროცესის დასრულების შემდგომ (17:00 სთ.-ზე).

კომისიის ყველა წევრის თანხმობით ონლაინ საარჩევნო ბაზა გაიხსნა 17:20 საათზე, კომისიის თანდასწრებით 10 წუთის განმავლობაში მოხდა ზემოხსენებული ტექნიკური ხარვეზის

აღმოფხვრა, რის შესახებ დროულად ეცნობათ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის თხუთმეტ ამომრჩეველს და განესაზღვრათ დამატებითი 5 წუთი საარჩევნო პროცესში მონაწილეობის მისაღებად, ხმის დასაფიქსირებლად, ხოლო ონლაინ საარჩევნო პლატფორმა დაიხურა 17:47 საათზე.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, თსუ აკადემიური საბჭოს არჩევნების საბოლოო ანგარიში მომზადდა და ამოღებულ იქნა 17:48 საათზე.

2. თსუ აკადემიური საბჭოს საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმების გამოქვეყნების თაობაზე.

საარჩევნო კომისიის წევრმა, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ კომისიის წევრებს გააცნო თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანის, ასოც. პროფ. თამარ ზარანდიას ა/წ 11 ოქტომბრის წერილი № 20783/31-05, რომლის თანახმად მან მოითხოვა თსუ აკადემიური საბჭოს საარჩევნო კომისიის ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების განმარტება,

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ იმსჯელა კორესპონდენციის საპასუხო წერილის შინაარსზე და კომისიის სხდომის (სამუშაო შეხვედრების) ოქმების გასაჯაროვებაზე თსუ ვებგვერდის მეშვეობით. კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ თსუ აკადემიური საბჭოს არჩევნების სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებიდან გამომდინარე, კომისიის სხდომის ოქმები საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს.

კენჭი ეყარა ჩატარებულ სხდომათა (სამუშაო შეხვედრების) ოქმების თსუ ვებგვერდზე გასაჯაროვებას და ამ მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის მიმართვას. აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდა ოქმებზე წვდომა, დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე კომისიის მიერ ოქმების დამოუკიდებლად გაცემის საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

ეთხოვოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, უზრუნველყოს ჩატარებულ სხდომათა (სამუშაო შეხვედრების) ოქმების თსუ ვებგვერდზე განთავსება; აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდა ოქმებზე წვდომა, ოქმები გაიცეს კომისიის მიერ დამოუკიდებლად დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე.

თავმჯდომარე, მაია არჩუაძე	
მდივანი, ანა თოხაძე	
მირანდა მიქაძე	
სალომე ჩიტიშვილი	
ირაკლი ლეონიძე	